13 ივლისი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი

№ 39





„ნახალოვკის“ საჩუქარი!

## მილოცვა.

მივდივარ, მიმიხარიან
ვლილინებ უდარდელათა
საუბნო შტატი დამცველთა
ხონჩაზე მიზის მთელათა.

ნაჭალადევის მიდამოს
მსურს მივულოცო დღეობა
მთავრობის მათზე ესოდენ
ზრუნვა და მომჭირნეობა.

მუშათა უბანს მარად ჟამს
მეტი აქვს ყურადღებანი,
რამეთუ უყვართ მიტინგნი
და საიდუმლო კრებანი.

შეეტკბეთ, ძმანო, ამ ნობათს
და შეეთვისეთ გულითა
ოცდა ოთხ გოროდოვოის
თავისი ბოქაულითა.

მთავრობის თვალმა მზრუნველმა
ეს მოგივლინათ მცველათა
რა გიჭირთ, ბედნიერებო,
იცხოვრებთ უდარდელათა!!!!!

ხელ-ხონჩიანი მივდივარ
ნაძალადევის მხარესა
და მიულოცავ საჩუქარს,
ცრემლებს შევაშრობ მწარესა.

—კი.

## ს ა მ ა რ ე.

ai სამარე! მისი დანახვა
ბევრ ფიქრს აღმიძრავს, ბევრს მომაგონებს,
მეისვე აშიშლის სევდის იარას
და მწარედ მქენჯნის, მწარედ მაღონებს.
    კარი ეღება გულს დახშულ გრძნობებს,
    თვალნი აფრქვევენ ცრემლთა შადრევანს
    და ოცნება კი თავს დასტრიალებს
    იმ სამარეში დაკრძალულ საგანს.
მე მახსოვს იგი... ჯერ ახალგასრდა,
ძალ-ღონით სავსე, გულ აღგზნებული,
სიცოცხლის ნიჭი იმის თვალებში
მწველ ნაკვერჩხლებათ სჩანდა ანთებული;
    მას სწამდა მხოლოდ მოძმის შავ-ბედი,
    მისთვის იბრძოდა, ის აწუხებდა,
    სიტყვით და საქმით ყველგან, ყოველთვის
    ჩაგრულთა მტრებზე მეხს აქუხებდა.
სადაც ის იყო, უიმედობას,
სევდას, გასაჭირს არ ჰქონდა ძალა,
მაგრამ მუხთალმა დრომ და პირობამ
იმას სიცოცხლე არ დაასცალა.
    როცა ქვეყანა მრავალ ტანჯული
    ცეცხლსა და კვამლში მტერმა გახვია,
    მაშინ ჩაგრულთა მოსარჩლე გმირსაც
    გულს გაუტარა პირმწველი ტყვია.
ai ამ დღიდან ჩუმი და ცივი
ესე სამარეც, ბევრ სხვათა შორის,
მტრის აურაცხელ სიავეგეზე
მომთხრობი არის ამბავის სწორის.
    თანაც გვაგვალებს, რომ დროშა აღმად
    წინ გვედგას ხსოვნა დახოცილ ძმების
    და მერმისისკენ გზის გაკაფვასთან
    დღეს შევნატრიდეთ შურის ძიების!..
        ნ. ზომლეთელი.



## ქართული პრესა

ვინც ოდნავ თვალს ადევნებს, როგორც ქართულს, ისე რუსულ ლიტერატურას—განსაკუთრებით მხატვრულს, ერთ მეტათ თვალსაჩინო განსხვავებას აღმოაჩენს მათ შორის: იმ დროს, როცა რუსულ ენაზე მხატვრული ლიტერატურა დღითი დღე იზრდება როგორც თვისებით ისე რაოდენობით, როცა მასში ხშირათ შეხვდებით სულ ახალ მიმდინარეობას—ქართული ლიტერატურა ამ მხრივ ბევრით უკან დგას. ამ მოვლენის მიზეზის გამოკვლევა და მისი ახსნა-განმარტება ერთ საჭირ-ბოროტო კითხვას შეადგენს, მარა ამაზე ჯერ-ჯერობით თავს არავინ იტკივებს. ისევ ბ. კიტა აბაშიძე თუ მიხედავს ხანდახან ქართულ ლიტერატურას და ორიოდე სიტყვას იტყვის, თორემ სხვებმა—როგორც მწერლებმა, ისე კრიტიკოსებმა კაი ხანია ის უპატრონოთ მიატოვეს. ასე რომ, ქართული მხატვრული ლიტერატურის ბედი ერთ წერტილზეა დღეს გაყინული. კიტა აბაშიძემ ამას წინეთ ლეონიდ ანდრეევის რამდენიმე ახალი მოთხრობები გაარჩია და წერილის ბოლოში ქართული ლიტერატურაც მოიხსენია. ის სწერს:

„ყოველი ახალი თვალსაჩინო ნაწარმოები რუსულის ლიტერატურისა ნათლათ გვიჩვენებს იმ დიდ და დაუფასებელ სიკეთეს, რომელიც მოუტანა რუსეთის რევოლუციამ, იმ დიდებულის ნაყოფის ნიმუშს გვაძლევს, რომელიც ამ რევოლიუციამ გამოიღო.

ჩვენ, ჩვენ კი? სად არის ქართული ლიტერატურა? დამახინჯებულმა უარყოფამ თავის ვინაობისამ, თავის თავისამ თავის სამარცხვინო შედეგი მოიტანა (კურსივი ჩვენია) და ქართულ მუზას სძინავს სამუდამოთ? „თუ მოვა დრო და გაიღვიძებს?“ („ამირანი“ № 55)

ასეთია ამ „კრიტიკოსის“ „კრიტიკა“. ჩვენ ვეთანხმებით ავტორს, რომ ქართული მხატვრული ლიტერატურა გაკოტრების კარზეა მიმდგარი, მარა იმის მიზეზის ასეთი ახსნა შეუწყნარებლათ მიგვაჩნია. როცა „თავის უარყოფაზე“ და „სამარცხვინო შედეგებზე“ ლაპარაკობს ავტორი, მას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, სახეში ყავს არა მთელი ქართველი საზოგადოება, არამედ მისი ერთი ნაწილი. მაშ, დარჩა მეორე ნაწილი, რომელსაც არ უარუყვია თავი. მოვახსენებთ ავტორს, რომ ჩვენი მხატვრული მწერლობის თვალსაჩინო ძალები სწორედ ამ წრეშია დღეს. მათ არ უარუყვიათ თავისი თავი, მარა ახალი მაინც ვერაფერი შეიტანეს ჩვენ ლიტერატურაში, მათ ვერ ისარგებლეს იმ საკითხებით, რომლებიც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ წამოაყენა და რომლიდანაც ბევრნაირ ტემაზე შეიძლებოდა ჩვენი ცხოვრების ჭირვარამის აღნუსხვა. აქედან მიუდგომელი დამფასებელი ჩვენი ცხოვრებისა არასოდეს არ გამოიყვანს იმ დასკვნას, თითქოს ქართული ლიტერატურის დაცემა იმის ბრალი იყოს, რომ ქართველობამ „უარყო“ თავისი თავი. დრო კია ასეთ „დაფასებას“ და „აღმოჩენას“ ბოლო მოეღოს. დროა თავის „უარყოფაზე“ ლაპარაკს თავი დაანებონ ერთი ჯურის მწერლებმა და „წამხდარი საქმის“ ნამდვილი მიზეზები მონახონ.

როცა კიტა აბაშიძის მიერ ქართული ლიტერატურის ჩამორჩენის ასეთ „დაფასებას“ ვკითხულობთ, ჩვენ გვეცინება, თუმცა ამავე დროს გვაგონდება ცნობილ „ბატონ“-ის მრისხანე სიტყვები:

„სწორედ ხათაბალაა,—გაზეთში დაბეჭდავ რასმე გრძელ ფელეტონებათ,—არავინ კითხულობს, წიგნათ დაბეჭდავ არავინ ყიდულობს და არავინ კითხულობს. მაშ, რაღად უნდა იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომოს ადამიანმა? ჩვენში, რასაკვირველია, იმისთვის, რომ ლანძღონ: მაგრამ ლ ა ნ ძ ღ ვ ა-თ რ ე ვ ა და ღ რ ე ჭ ა-ს ი ც ი-ლ ი ხომ მუდამ არ იქნება,—ერთხელაც არის უნდა მოეღოს ბოლო ამ დამღუპველ „ხამობასა“ (კურსივი ჩვენია) „განათ-ლება“ № 3 და 4. გვ. 79)

მაშ ასე, კიტას აზრით ქართულ მუზას სძინავს და საეჭვოა გაიღვიძებს თუ არა. „ბატონ“-ის აზრით ბევრი სერიოზულის დაწერა შეიძლება, მარა რისთვის უნდა შეიწუხო კაცმა თავი, როცა მკითხველი არ არის, როცა ქართველი საზოგადოება ამ შემთხვევაში „ლანძღვა-თრევის“ და „სიცილ-ღრეჭის“ მეტს არაფერს აკეთებს.

მოვახსენებთ „ბატონ“-ს, რომ „ლანძღვა-თრევა“ მართლა არაა საკადრისი და მის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა, ხოლო „ღრეჭა-სიცილი“ ძალა-უნებურათ გიხდება კაცს, როცა კიტა აბაშიძის და „ბატონ“-ის ჩვენ მიერ მოყვანილ აზრებს კითხულობთ, თუმცა სიცილი ამ შემთხვევაში მწუხარებით უფრო გამოწვეული, ვინემ სიხარულით.

„ბატონ“-ის და მისი თანამოაზრეების საყურადღებოთ კი ვიტყვით: გააკეთეთ რაიმე სახეირო და თუ ჩვენი მხრით „ღრეჭა-სიცილი“ დაინახოთ ნებას გაძლევთ მობრძანდეთ და ჩვენივე მათრახით... და თუ ასე ვერ მოიქცევით, ნურას უკაცრავათ თუ ზოგიერთ „სერიოზულ“ მწერლებსაც არ მოვაკლებთ დროგამოშვებით ჩვენი მათრახის კუდს.



## ზოგიერთი ტიპიური არსებანი

### „მწერალი“ ქერქეტაძე.

ერთ დროში, როცა ჩვენი მწერლები შავი ფიქრებით იყვენ დაბურულნი და სულ ტიროდენ, „მწერალ“ ქერქეტაძემაც შესაფერი ფსევდონიმი აირჩია, მან დაირქვა დარდიანიძე. ჯერ სულ ახალგაზდა იყო დარდიანიძე, როცა მან ერთ-ერთ ქართულ პერიოდულ გამოცემაში პატარა მოთხრობა მოათავსა; მოთხრობა არ ე ვთქვათ დეკადენტურ-პატრიოტული იყო. მოთხრობას სახელად „დარდთა მორევი“ ერქვა და ასე იწყებოდა:

„ჩვენ ზღვის პირად ვიჯექით. ის ჩემ გვერდით იჯდა და მე მის გვერდით ვიჯექი. ურთიერთის გულის ცემა, გულის, შავ-ფიქრებით დაბურულისა და დაწყლულებულისა, ორთავეს გვესმოდა. უძირო იყო ჩვენი გული ვით ზღვა და დამტვრეული იყო ის, ვით იმ ზღვას ტალღების მიერ ნაფოტებად ქცეული გემი. ჩვენ ვფიქრობდით ჩვენ წარსულზე და თანდათან ვიფლებოდით სევდის მორევში. ჩვენ ვფიქრობდით აზრეთვე ჩვენ სიყვარულზე და ერთმანეთს მაგრათ ვეკვროდით. ჩვენ ვტიროდით და ცრემლები გვცვივოდა, ვით ცას ცვივა ცრემლები წვიმის დროს, ჩვენ ამავე დროს რაღაც კიდეც გვახარებდა“ და ასე ბოლომდის.

ქერქეტაძე მოუთმენლად მოელოდა ჟურნალის იმ ნომერს, რომელშიაც მისი მოთხრობა უნდა დაბეჭდილიყო. აი, ეღირსა ამ ბედნიერ დღესაც. იმ დღესვე დაიარა მან ნაცნობები და ყველას წაუკითხა.

— ახალი სიტყვაა ჩვენს ლიტერატურაში, არა?—ეკითხება ის მსმენელებს.

— ნიჭიერად დაწერილია,—მოესმის პასუხათ.

ქერქეტაძე მედიდურათ ჩაახველებს და თავმომწონეთ გაიაო-გამოიარს ოთახში. მართალია, ის არ ამბობს, რომ ეს მოთხრობა ჩემიაო, მარა სანამ არ გააგებინებს მსმენელებს ეს მოთხრობა ჩემიაო მანამ არ დასტოვებს მათ.

— კაკო, შენ ისე ლაპარაკობ, რომ ეს მოთხრობა შენი უნდა იყოს,—ეუბნებიან მას.

— არა, ძმაო, ჩემი არაა. როგორ შეიძლება თავის ფსევდონიმი გახსნას მწერალმა. სხვისია, მარა ისიც სათქმელია, რომ ჩემი სული და გული მაგ მოთხრობაშია ჩადებული—ამბობს ქერქეტაძე

„დარდთა მორევს“ ქერქეტაძემ მოაყოლა „გული ქალისა“.

„გული ქალისა ზღვაა, ზღვა უძირო და უძლეველი. ვერ ვძლიე მე მას, ვერც მან მძლია მე. ოხ, ქალო, ქალო... შენ ხარ საიდუმლოება ბუნებისა“,—სწერდა ქერქეტაძე და მოსწონდა ქალებს ნაწერი ქერქეტაძისა.

ამ მეორე მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ ქერქეტაძე ყველას ეუბნებოდა, რომ დარდიანიძე ქერქეტაძეა.

— ვწერ დიდ მოთხრობას,—ეუბნება ის ბულვარში ნაცნობ-მეგობრების ჯგუფს,—სიუჟეტი მეტათ რთულია. მოთხრობა არ უნდა იყოს ფოტოგრაფიულად გადმოღებული. მწერალმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს თავის ტიპების სულიერ მდგომარეობას. მეც ჩემს მოთხრობაში ამ მხარეს მივაქციე უმთავრესი ყურადღება.

ერთი ახალგაზდა მასწავლებელი ქალი, ქერქეტაძის ნიჭის პატივისმცემელი, თავს აქნევს და მის გვერდით მჯდომ ახალგაზრდას ჩუმათ ეუბნება:

— დიდი ნიჭის ახალგაზდაა, წერის თავისებური მანერა აქვს. დიდი მომავალი ექნება.

— თფილისში ვნახე ერთი რუსი ბელეტრისტი,—განაგრძობს ქერქეტაძე,—ამხანაგებმა გამაცნეს. გააცნეს ჩემი მოთხრობა „დარდთა მორევში“. ძლიერ დაინტერესდა. კარგი იქნება, რომ გადმოთარგმნიდეთ და გამომიგზავნეთ, დავაბეჭდვინებო. დაე იცოდეს რუსის საზოგადოებამ, თუ რა ძალები ყავს ქართველებსო.

ქერქეტაძეს ძალიან ეჭირხება თავის ქება. ის ისეთ ფორმაში ჩამოასხამს თავის ქებას, რომ გაფიქრებინებთ— თავის თავს აძაგებსო, მარა ქება კი გამოდის.

— ამას წინათ რედაქციაში შევიარე,—გიამბობთ ის,— აჰა, მოვიდა ჩვენი ახალგაზდა მწერალიო, მომაძახეს. თითქმის იქ იყვენ ყველა ჩვენი რჩეული მწერლები: პოეტი №, კრიტიკოსი X (ქერქეტაძე ჩამოთვლის ყველა რჩეულ მწერლებს). კითხულობდენ ხელნაწერ მოთხრობაა ჟურნალში დასაბეჭდათ გამოგზავნილს. მე ძალიან მომეწონა მოთხრობა.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა უშავს, კარგიაო, თქვა კრიტიკოსმა X-მა, მარა რა შედარებაა დარდიანიძის მოთხრობებთანო. დარდიანიძის მოთხრობებში პირველი სიტყვებიდანვე შეატყობთ, რომ თქვენ საქმე გაქვთ დიდ ტალანტის მქონე მწერალთანო. ყველა დაეთანხმა მას. მე კი სულ სხვა აზრისა დავრჩი: ვუთხარი მათ, რომ ეს მოთხრობა ბევრათ სჯობია ჩემს მოთხრობებს მეთქი. —ეს ავტორული მოკრძალებააო, მითხრეს.

— ახლა უნდა დავწერო ერთი ლექსი: „ულრან ტყეში“ უნდა შევადარო ბუნების საიდუმლოება ადამიანის სულის კვეთების საიდუმლოებას,—განაგრძობს ქერქეტაძე და მაყურებლებიც აქნევენ თავებს—ეს რა დიდი ვინმე ტალანტი გაგვიჩნდაო.

— მწერალი დარდიანიძე დღეს ჩემთან უნდა დარჩეს სადილათ,—ამბობს ერთი მანდილოსანი და გადახედავს ქერქეტაძეს—უარი არ მითხრასო.

— არა, დარდიანიძე დღეს ჩემსას ისადილებს,—ამბობს მეორე.

— დარდიანიძე უკვე შემპირდა, რომ სადილათ ჩემთან იქნება,—ამაყი კილოთი ამბობს მასწავლებელი ქალი.

ქერქეტაძეც აბედნიერებს ერთ-ერთ მათგანს.

დრო შეიცვალა. დარდიანობის მწერლობამ თავისი დრო მოჭამა. დადგა ქარტეხილის ხანა. ქერქეტაძემ ტონიც იცვალა და ფსევდონიმიც. ის დღეს დარდიანიძე კი არა, ბრძოლაძეა.

„ოხ, რათ არის, რომ ჩემი მკერდი სალი კლდე არ არის, დავეტაკებოდი მტერს და ვაქცევდი ფერფლათ! ოხ, რათ არის, რომ ჩემი მკლავი რკინის ურო არ არის, დავკრავდი და მტერს მიწასთან გავასწორებდი, მით გამოვჭედდი ბედნიერებას“—სწერს ქერქეტაძე.

ქერქეტაძე დიდი აზრისაა თავის თავზე. ის ქებული მწერალია მოღვაწეთა შორის. მას გონია, რომ მისი სწორი იშვიათად მოიპოვება, ასე გასინჯეთ—მთელ დედა მიწის ზურგზედაც კი. იმდენათ თავმოყვარეა ქერქეტაძე, რომ თუ ბაირონი, ან ჰიუგო მასზე მაღლა დააყენეთ, საუკუნოთ გადაგემტერებათ. მის თაყვანისმცემელთა რასაკვირველია სჯერათ ქერქეტაძის დიდი ტალანტი და მის მოთხრობებს ფრანგულათ თარგმნიან—გაიგონ ფრანგებმა, რომ ჩვენ ასეთი დიდებული მწერალი გვყავსო.

ქერქეტაძე უსაქმოთ მოყიალეა.

— ჩემს ბუნებას არ ძალუძს შეურიგდეს დაქირავებულ შრომის წესს,—ამბობს ის,—მე ბატონს ვერ დავისვამ თავზე. მე უნდა ვიყო თავისუფალი, ვით მინდვრის ჩიტი. ვინც მოწოდებით ნამდვილი მწერალია, მას თავისუფლება უნდა.

და ქერქეტაძეც თავისუფალია. დღეს ერთ ქალაქში ნახავთ მას, ხვალ მეორეში. ნაცნობები კვებავენ მას, აცმევენ და ახურავენ, აძლევენ გზის ფულს.

— როცა შენ ბიოგრაფიას დასწერენ, ჩვენ, როგორც შენს მეგობრებს, მოგვიხსენიებენ შიგ,—ეუბნებიან მას რასაკვირველია

— რა თქმა უნდა,—ამბობს ქერქეტაძე,—ერთმა ბიოგრაფმა უკვე მომმართა წერილით: შენი ცხოვრების ცნობები მომანდე, აგრეთვე სია შენ მაჩლობელთაო, მინდა შენი ბიოგრაფია დავწეროო,—

ქერქეტაძეს თავის თავი მედგარ პრინციპის კაცად მოაქვს.—მე არ ძალმიძს, რომ ბედს ქედი მოვუხაროო,—ამბობს ის.

მიდის ნაცნობთან. რჩება მასთან მთელი კვირა. იღებს წერილს, რომლითაც ატყობინებენ, რომ დედა უკვდება, რომ ავათმყოფი მის ნახვას თხოულობს.

— კაცო,—ეუბნება ნაცნობს—კაცი მაგარი უნდა იყოს, ვით კლდე. დედა მყოლია ძლიერ ავათ. წასვლა და მისი ნახვა—ეს ხომ გულის აჩვილებაა, ბედის დამორჩილებაა, პრინციპის გალუნვაა, ეს ხომ სილაჩრეა.

— ავათმყოფ დედის ნახვა არაა სილაჩრე. ეს წმინდა მოვალეობაა ადამიანისა.—ეუბნება ნაცნობი.

ამ ტემაზე დიდი ფილოსოფიური კამათის შემდეგ, ქერქეტაძე ვითომდა ყოყმანობს, და ბოლოს თანხმდება, რომ შეიძლება კაცმა ნახოს ავათმყოფი დედა და ეს არ იქნება პრინციპის გალუნვა.

— მარა წასასვლელათ ფულია საჭირო, რაც არ მაქვს,—ამბობს ქერქეტაძე.

ნაცნობი აძლევს მას გზის ფულს და ქერქეტაძეც მიდის.

ასეთი ყმაწვილია ქერქეტაძე და პატივისმცემელთაც მოსწონთ ის, გუნდრუკს უკმევენ მას და მით სულ უფრო და უფრო აქერქეტებენ.

კენტი.



## მოხსენება ბათუმელ კვინწარი ეშმაკისა.

თქვენო მაღალ უეშმაკეულესობავ, თვით უმაღლეს ბედზე ბედის მიერ ნაკურთხო, დიდო ეშმაკო!

წინა მოხსენებაში ვაუწყე თქვენ მაღალ უეშმაკეულესობას, რომ ჟამსა ჩემი ავათმყოფობისასა მრავალი ღირს-შესანიშნავი ამბები მომხდარა ჩემდამო რწმუნებულ რაიონში მეთქი, რიგი იმ ამბებისა უკვე მოგახსენეთ, დანარჩენთა მოხსენება შემდეგისათვის გადავდევი. მარა აღწერას იმ „დანარჩენებისას“ თავს ვანებებ, ვინაიდან არ ძალმიძს მოცლა ძველ ამბებთა აღსაწერათ, რადგან ახალი ამბები აურაცხელია.

სამ ივლისს ბათუმის საბჭოს კრებას დავესწარი. შევედ შეუმჩნევლათ და თავმჯდომარის სტოლზე მოვიკალათე. შეიქნა აზრთა შეჯახ-შემოჯახება ლომბარდის შესახებ, რომლის გამგე, როგორც უკვე იცის ისტორიამ, სადღაც გადაიკარგა. ისტორიამ ამის შემდეგ ისიც შეიტყო, რომ გამგესთან ერთათ სადღაც გადაკარგულა ლომბარდის 2000 ქანქარამდე. ორატორებმა განქიქეს გამგე, უმეტესად ხაზინადარი, ხოლო კრიტიც არ დასძრეს გამგეობის შესახებ. არავის არ მოაგონდა და, თუ მოაგონდა, არ ინება თქმა, რომ 2000 ქანქარის ასე უმოწყალოთ გადაკარგვაში წილი უდევს თვით გამგეობასაც, ვინაიდან გამგეობას სრულიად მიენებებინა ლომბარ-

დის საქმეები გამგესათვის და ერთხელაც არ შეეწუხებინა თავი გაეგო, თუ რა ხდებოდა ლომბარდში.

თავმჯდომარე, რომელსაც დიდი თეთრი ჯაჭვი ება კისერზე, დიდათ კმაყოფილი იყო, რომ გამგეობის შესახებ ხმოსნები სდუმდენ და კმაყოფილების ნიშნათ უვედას აზრს იწონებდა და ორატორებს თავს უქნევდა: რა კარგი ბიჭები ხართ, რა კარგათ ლაპარაკობთო!

ვიძვრე იარაღი და გადავხედე „კრაინაია ლევაიას.“ გრიშას ადგილი ცარიელი იყო; ხოლო სოსიკოს თავი ჩაექინდრა და მძიმეთ ჩაფიქრებულიყო. მოვმართე იარაღი და ისიც იყო უნდა მეცხო, რომ უცებ წამოდგა, ჩაახველა და დაიწყო „რეჩი“. დიდხანს ილაპარაკა და დასკვნაც შემდეგი გამოიყვანა: გადავახდიოთ ზარალი ხაზინადარს და შემდეგისათვის ანგარიშები რომ არ დაგვებნას, მოვიწვიოთ კარგი ბუხგალტერი კარგის ჯამაგირითო. თავმჯდომარემ კმაყოფილობის ნიშნათ თავი დაუქნია.

— ამის მეტს თუ არას იტყოდი, თუ გამგეობის „შრომას“ დაივიწყებდი, რათ დგებოდი, შეგირცხვა ტვინი მეთქი, ვიფიქრე და მათრახის კუდი ზედ კაკალ ცხვირში ვკარი. ემწვავა, თავი გააპანტურა და დადუმდა.

წამოდგა ლეონიძე. მან ცოტა შეიბრალა ხაზინადარი და სთქვა. ზოგი გამგესაც გადავახდიოთო, გამგეობის ლვაწლი, რა თქმა უნდა, მანაც გაივიწყა. ახლოს ვიყავი მასთან და მათრახის ტარი ვრეკვე თავზე. გოგრაზე ხელი იტაცა და დაჯდა. თავმჯდომარე იჯდა და მხიარულობდა. ვსტაცე ხელი ჯაჭვში და მივაქან-მოვაქანე. მიიხედ-მოიხედა, ივანე სეკრეტარი ეგონა და წაუფურჩულა ივანეს: — რათ მიმანჯღრიე ივანე, ხომ არაფერში შევმცდარვართ. — ჯერ არაფერშიო, — მიუგო ივანემ და ჭვერის საგრილებელი დაატრიალა.

ვხედავ: სოსიკო კვლავ ფეხზეა. ახლა მაინც იტყვის მეთქი, ვიფიქრე. დაიყინა ბუხგალტერს დიდი ჯამაგირი უნდა დავუნიშნოთო. კუდი მომჭერით, თუ ამ ვაჟს ვინმე თავისი კანდიდატი არ ყავდეს საბუხგალტეროთ მეთქი, ვიფიქრე.

ლომბარდის დროებით გამგემ სიტყვა ითხოვა. პარმენი მთელს „უპრავაში“ პირველ კაცად ითვლება და მეც ყურები ვცქვიტე, აბა, რას გვეტყვის პარმენი მეთქი.

— დიდს შრომას ვეწევით ლომბარდში, სულ ოფლათ ვიწურებითო თქვა და ზედ დააყოლა მორცხვად: მე ლომბარდის გამგის ადგილზე კენჭს არ ვიყრიო.

— კი, ძმაო, კი ჩემო პარმენ, ისე მორცხვულათ თქვი მაგ, რომ გდომებია, ბიძია, გდომებია მეთქი, გავიფიქრე და აღვაპყრე ხელი ზეცად: ფედერაციის გამჩენო ღმერთო, ნუ მოაკლებ ამ ხალხს თფილ ადგილებს მეთქი.

გამგის არჩევა გადადვეს. საბუხგალტეროს 1000 ქანქარი დაუნიშნეს და კრება დაიხურა.

კვინწარი.

# წერილები ეშმაკისადმი.

## თფილისიდან

მე არა მჯერა ეშმაკო
თუ რომ არა ხარ ავათა,
ენფინჯიანის ფაბრიკა,
რომ გრჩება უნახავათა.
მაგ შენი ფრთების ჭირიმე,
საჩქაროთ შემოფრიალდი!
და შენი გრძელი მათრახით,
სიმკვირცხლით დამიტრიალდი:
აქ ცოტა ადამიანში,
მრავალი ხულიგანია,
მეტადრე ვანო გუბინი,
წერას რომ აუტანია!
მშიერმა თავი გაგვაცნო,
მითომ და დიდი ტიკია
როცა გამოძლა, ვნახეთ რომ,
„პადლეცი“ „მაშენიკია!“
გამარჯვებასა გვიქადდა,
როდესაც იყო მშიერი,
თურმე ნუ იტყვი გვატყუებს,
ყოფილა დიდი ცბიერი!
ფეხქვეშა ქელავს ოხერი,
ადამიანის რწმენასა!
მთლათ შეგვილახა სინდისი,
აღარ აყენებს ენასა!
კუდინი მიალებინე,
გადაიმასქნილ ვანოსა,
ასოციოდე მათრახმაც
ქკუაზე მოიყვანოსა!...
სხვებსაც გადაკარ მათრახი,
გადარჯულებულ მუშებსა,
პური რომ ენატრებოდათ,
დღეს მიირთმევენ ნუშებსა!
უსაქმო მოძმე არ მოსწონთ:
„წავიდეს, მშიერიაო?
რას დაეთრევა უსაქმოთ
სულელი? ოხერიაო!...

ნ-ძალადევი. ფრაქტიკოვანი ქუჩაზე,
ეშმაკო! ნახავ საშასა;
რეებსა შვრება გენაცვა,
უყურე მისსა თამაშსა!
მოხულიგანობს სულელი,
პატარა პლუტოკრატია,
მას ეზიზღება ძალიან
სოციალ-დემოკრატია!
თუნდ დადიოდენ უსაქმოთ,
არ ეცოდება დგმურები,
და ამისთანა „ხაზეინს“
სახეზე უნდა მურები!
გადაუჭირე მათრახი,
საშასთვის მარგებელია,
კუდინი მიალებინე,
რომ ხალხის მავნებელია!..

შმაგა.

## პროვინციებიდან.

**ს. უშაბათი.** ძმაო ეშმაკო! გთხოვ მომიკითხო შენი მათრახის კუდით ბეჟანა და სიძე მისი იონა (სტრაჟნიკია), პირველი, როგორც წამქეზებელი, ხოლო მეორე, როგორც ასრულებელი ძალა. თან გადაეცი მათ „მაღალსტრაჟნიკობას“, რომ ღვთისგან მინიჭებულ უფლებას პირად ინტერესებისათვის ნუ ხმარობს.

მეთვალყურე

—

**ზუგდიდი.** თუმცა მოხაზულობა და მოფარგლულობა ჩვენი ქალაქისა ეგზომ დიდი არ არის, როგორც სახელის დაბოლოება ამბობს, მაგრამ სამაგიეროთ, ის ფრიად ნაყოფიერ არს თავისი სათლელსახრავებით. ამასთანავე მოქალაქენი ზუგდიდისა დიდი მიმდევარნი არიან ეგრედ წოდებულის „კონცენტრაციისა“, მაგრამ კონცენტრაციის სხვა და სხვა „საფცქვნელ მანქანათა“ ერთი პიროვნების ხელში მაგალითად: ქალაქის გაზით განათების საქმეს, საყანთრო გადასახადისა და ფურგონ-დროგების ბაჟის ბოჴვას ერთი პიროვნების ხელში მოუყრია თავი. ვინ არის ეს პირი? რა საჭიროა, რომ დავასახელო. მე ხომ ამას ქალაქის საყურადღებოთ ვამბობ და არა პიროვნების.

ისიც ისე.

—

**ს. ღები.** შენ გევედრებით, ეშმაკო,
რაჭისკენ შემოიარო
და ჩვენი სევდა-ვარამი
გაგვიყო, გაიზიარო.

მეტად გამრავლდენ, ძმობილო,
ცხოვრების ნაძირალები
და მეცრემლება მე ბეჩავს
იმათი ცქერით თვალები.

ხომ იცნობ ჩვენსა „სტარშინას“
ბერუკა ლობჟანიძესა,
ამ ბოლო დროს რომ „გაისქნა“
და „იმისთანებს“ მისდევსა?

ამ ვაჟბატონმა „შეისქნა“
სოფლის 400 ქანქარი,
და ამ საქმეზე რა ხნობით
კომისიაა შემდგარი.

ერთი მონახე, თუ ძმა ხარ,
იმ კამისიის წევრები
და დაუმშვიდე „კუდინით“
აშლილი ტვინის „ნევრები“.

ჰკითხე: რას აგვიანებენ
ამდენ ხანს განჩინებასა,
და თუ პასუხი ვერ მოგცენ,
უცხუნე, გძლევ ნებასა.

გაბო რიკნელი.

—

**სუფსა.** 3 ივლისს ცნობილ ჩიჩილაკ კურიელის თაოსნობით შესდგა „წარჩინებულთა“ კრება. დღიურ წეს-რიგში შედიოდა ორი საკითხი: 1) სოციალ-დემოკრატების მოსპობა და 2) ბატონ-ყმობის აღდგენა.

პირველი საკითხის შესახებ ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ს. დ. თანდა-თან მრავლდებიან, რომ მათ წინააღმდეგ მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს, რომ ამის მიხედული ადგილობრივი პრისთავიც ვარს ამბობს ჩვენი სურვილისამებრ გლეხების გამათრახებაზე, ამიტომ ჩვენ საჭიროთ ვცნობთ შედგეს პეტიციები და მივმართოთ ყოფილ გურიის გენერალ-გუბერნატორს, რომ იმან იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს ს. დ. მოსპობის შესახებ“. რეზოლიუცია ერთხმათ მიღებულ იქმნა.

მეორე კითხვის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „თითოეული წევრი ამა პატივცემული კრებულისა ვალდებულია: შეძლებისამებრ ხელი შეუშალოს სოფლებში სკოლებისა და სამკითხველოების გახსნას და სცნობს რა საჭიროთ და სასურველათ აღდგენილ იქნას ძველი „მამა-შვილური“ დამოკიდებულება ჩვენსა და გლეხებს შორის ე. ი. ბატონ-ყმობა, წარჩინებულთა კრება გადადის მორიგ საქმეებზე*)“.

ოლოლე.

—

**ნარეთ-კახეთი.** შენ გეხვეწებით, მოგვხედე
ეშმაკო, კოხტა რქიანო!
„გარეთ-კახეთში მოფრინდი
ვინძლო არ დაიგვიანო.

ჯერ „ფაშტალიონს“ იხილავ
გზაზე შეგხვდება ცხენითა,
პირველათ იმას შეეხე
შენი მათრახის წვერითა.

მერე „კუდინი“ ჩაასხი,
ვიდრე შეატყობ ძღომასა
და უთხარ: „ძმაო იაგოჴ!
ეხსენ „იმასთან“ ძრომასა“.

მას შემდეგ ხაშმში გადადი
„ჩუჩლიკა“ ინახულევი
„კუდინი“ მიაღებინე
მათრახიც მიაყოლევი.

„უდურმიშხანებს“ ჩუჩლიკა!
ვინ იცის, რას არ შვრებაო
და ყველა ასე მოგვითხრობს
მათრახი მოუხდებაო.

მისწრება.

—

**სოფ. აბაშა** (გურია) ძმაო ეშმაკო! მოდი ერთი გამოეწყვე ბოქაულის სამოსში და ინახულე ჩვენი სოფლის აზნაურები: ბ. კალოიანი და ა. კანდელაკი; თან გლეხი ალექსიც დაიბარე. მართალია, ბოქაულთან კარგი მისვლა-მოსვლა და ნაცნობობა აქვთ, მაგრამ შენც გულახდით მოგიყვებიან ხალხის ავკაცობაზე ლაპარაკს. გეტყვიან: აქ მთელი სოფელი აბუნტებული, ყველას საკუთარი სტამბაბი აქვს, და თავისი ოჯახისათვის ფურცლებს ბეჭდავენო.

---

*) ე. ი. ჩხუბსა და ქეიფზე. ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი. დევაძე, ცოტა არ იყოს, შეიმასქნილია იმიდან და გაიძახის: კალოიანების მოურავათ ამირჩია ხალხმა და ახლა მოკვლას მპირობენო. ხომ იცი ასეთი ხერხით რას შვებიან. არც არჩევა და არც სიკვდილი, რასაკვირველია, ფიქრადაც არავის გაუვლია. ახლა უთხარი მოასვენოს ეს საცოდავი სტრაჟნიკები.

ბედნიერი.

—

**სამტრედია.** ვინაიდან ჩვენი სამკითხველოს ბედის ვარსკვლავი უკუღმა დატრიალდა და ადგილობრივმა „მოქალაქეებმა“ ვერ შესძლეს მისი შენახვა, გადასწყვიტეს: ძველი ჟურნალ გაზეთები და წიგნები ტორგით გაყიდონ, ხოლო ანალები ფულით ახალი სამკითხველო გახსნან. როცა საქმე საქმეზე მიდგა, გამოირკვა, რომ აღარც ძველი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ყოფილა თურმე სამკითხველოში.

ამას წინეთ ჯიბგირებისაგან მოტაცებული გ. მ—ქ—რ-ძე, როგორც გავიგეთ უპოვიათ „ნოვი სვეტის“ მახლობლათ „არლნის“ ყუთში დამწყვდეული. გიმოძიება სწარმოებს. დანარჩენებზე შემდეგ.

სატანა.

—

**სოფ. „ჩხენიში“.** როგორც დაჟინებით ამბობენ, ამ მოკლე ხანში სოფლელებს ბოი-კოტი გამოუიმასქნიათ შემდეგი „საზოგადო“ მოღვაწეთათვის: ი. ხარებავა, მ. მიქელაძე გ. მელქაძე, ა. ზარებავა, ა. რუხაძე, ქ. მელქაძე, ნ. მიქელაძე, ა. ჩიქოვანი, იაგ. ხარებავა, ბ. და ე. წულეისკირებისათვის. მიჩეზი გამოიმასქნილებისა გახლავთ უკიდურესი ვარჯიშობა განმამხიარულებელ მოქმედებებში.

ს—ა.

—

**მუხაყრუა.** როგორც გამოირკვა ამას წინათ ექიმებისაგან ხელით ავათმყოფათ შემოწმებული და რაოდენიმე ქანქარ-გაკრული „ამხანაგი“ ო. ნ—ძე უფრო სულით ავადმყოფი აღმოჩენილა.

ს—ა.

**დაბა სამტრედია.** ბ. სამტრედიის მოქალაქე ალექსანდრე ჯანელიძეს საშინელი მძიმე გულის წუხილი აუვარდა მას შემდეგ, რაც მის დუქნის წინ გავლისთვის ვიღაც ვლეხს ფული გადაახდევინა. მიზეზი გულის წუხილისა ფულის მოუნელობლობა არის. ამბობენ „კუდინის“ წვეთებმა შეიძლება უშველოსო.

სატანანა.

## ჯურუყვეთელი „მაშინა“.

ჯურუყვეთის „მაშინა“*) ვარ
ბედმა გამომათრიაო
ხალხმა ლანჩხუთს გამაგზავნა
ვერ გავსტეხე ხათრიაო.

გუშხამ „ისვქენ“ სამი კაცი
ყველა ალალ-მართალიო
ეხლა მინდა გამოვიხსნა
ზეგ სხვა „ისვქნა“ ახალიო.

გომახურში გადავკარი
მივალ ბენცელ-ბენცელითო
„ბერეგის“ ყაზილარებო!
ბრძოლა რომ ვერ შესძელითო.

მინდა სრულად დავივიწყო
ერთობის დრო წყეულიო
დედავ, დედავ რაფერ ჰქონდა
ხალხს თავი აგდებულიო.

მარა ვხედავ ჩოუვარდენ
მგონი კოვზი ნაცარშიო:
ხან ქრთამს ვიღებ; ხან „იმასვიქ“
შვილს გავყიდი ქანქარშიო.

ჯურუყვეთის „მაშინა“ ვარ
ბონძვერი, ახმახიაო,
ვინც რა უნდა იტრუშუნოს
არ წამაჰრენ ხახვიაო.

შხანკოლა.



## ნ ი ა ვ ს

ნიავო, ცელქო ნიავო,
წამიყვა შენი ფრთებითა!
გადამატარე მიდამო
ტყე-ჰალა მინდორ-მთებითა,
და მიმიყვანე, ფრთა ლაღო,
თავისუფლების მხარეში!
ამ სასიკეთო საქმეზე
შესცვალე შენი თარეში!
გასწი, გადმიყვა, ნიავო,
იმ სანეტარო მხარესა!
აქ ყოფნას ვარჩევ იქ სიკვდილს
და მიწას სასამარესა!..
და თუ სამშობლოს ოდესმე
ჩამოუქროლო ფრენითა,
ეს ჩემი ბედის ყვედრება.
აუხსენ მწარე ენითა...

ნ. ზომლეთელი.

---

*) ვერც რედაქციამ და ვერც ეშმაკმა ვერ გაიგეს რას ნიშნავს აქ სიტყვა მაშინა.



სამგზავროთ მზადება.

## სამგზავროთ

სპარსეთის შაჰი
მაჰომედ ალი,
ქვეშევრდომებზე
უზომოდ მწყრალი,
რეაქციითა
მირონ-ცხებული,
სამგზავროთ არი
გამზადებული.
სჩანს თავრიზიდან
მოსულა ცნობა...
და გაჰქრა შაჰის
,,კეთილი გრძნობა“!
აღარა ხუმრობს
ადირბეჯანი
და რეაქციას
მოსტეხა ჯანი.
ილესავს კბილებს
მაჰომედ ალი,
უცხოეთისკენ
უჭერია თვალი.
(ჩრდილოეთიდან
რო ელის შველას,
ეს კარგათ ესმის
ამ ჟამად ყველას.)

# სპარსეთი

ჩვენი მკითხველები, უეჭველია, ყურს მოჰკრავდენ იმ შემაძრწუნებელ ამბებს, რომელიც ეს ორი-სამი კვირაა სპარსეთიდან მოაქვთ ჟურნალ-გაზეთებსა და დეპეშებს. რეაქციის სიმშვენიერეს გამოცდილი ქართველი მკითხველი, ადვილათ გაითვალისწინებს იმ ფაქტების საშინელებას, რომელსაც ფრთა გაშლილი სპარსეთის რეაქცია ატრიალებს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის თავზე. მაგრამ, რომ უფრო საფუძვლიანი და დალაგებული იყოს სპარსეთის გაცნობა ჩვენი მდაბიო მკითხველისათვის, გადავსწყვიტეთ ამ ნომერს გავაყოლოთ დაახლოებითი ქარტა სპარსთა სახელმწიფოსი და მასთან, მოკლე აღწერა, როგორც მდებარეობისა, აგრეთვე სპარსეთის ისტორიისა ვიდრე რევოლიუციის დაწყებამდე. შემდეგ ნომერში კი ვეცდებით მოკლეთ აღვწეროთ რევოლიუცია და რეაქცია სპარსეთისა დღევანდელ მომენტამდე

**მდებარეობა სპარსეთისა.** სპარსეთი მდებარეობს საქართველოდან სამხრეთისაკენ. მისი საზღვრებია: ჩრთილოეთით რუსეთი. (კავკასია, კასპიის ზღვა და თურქესტანი) სამხრეთით ავღანისტანი და ბელუჯისტანი. [1]) აღმოსავლეთით ინდოეთის ოკეანე და სპარსეთის ყურე, ხოლო დასავლ. ოსმალეთი.

**სივრცე.** *) სივრცე მთელი სპარსეთისა დაახლოებით უდრის 1,645,000 ოთხკუთხ ვერსს. მდებარეობა უმთავრესათ მთა-გორებიანია, მეტადრე განაპირა მხარეებში. უმთავრესი მწვერვალი სპარსეთის მთებისა—დემავენდი ხუთ ვერსსა სჭარბობს სიმაღლით. შეაგული სპარსეთი მოფენილია უფრო დაბალი გორაკებით.

ჰავა მეტის მეტათ სხვა და სხვა ნაირია სპარსეთის სივრცეზე. ზღვის ნაპირები (კასპიისა და ინდოეთის) უფრო ნოტიოა, თუმცა ამ ორ ნაპირთა შორისაც დიდი განსხვავებაა. შეაგული სპარსეთი უფრო ხმელი და ცხელი ჰავის პატრონია. საზოგადოთ, მთელსა და კერძოთ შეაგულ სპარსეთში წვიმები ძლიერ იშვიათად იცის. სამაგიეროთ, ზამთრობით მოდის დიდი თოვლი, რომელიც ნელ-ნელა დნება და რწყავს გაშენებულ მთის ფერდობებს. შუა სპარსეთში ჰავა უფრო მკაცრათ იცვლება, არა თუ მთე-

[1]) იმყოფება ინგლისის გავლენის ქვეშ.

*) ცნობები ამოღებულია ბროკგაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონიდან.




ლი წლის, არამედ დღე და ღამის განმავლობაშიაც, ვიდრე ზღვის პირის მხარეებში. მაგალითად ზამთარში ხშირად არის სიცივე—25° ხოლო ზაფხულობით სიცხე—50°. აგრეთვე დილით მზის ამოსვლამდე 10°, ხოლო შვადღეზე სიცხე 40° ადის.

**მდინარეთა** რიცხვი სპარსეთში მცირეა და მათ შორის გემების მიმოსვლა მხოლოდ ერთზე შეიძლება. შვაგულ სპარსეთის მდინარეები ზღვებამდე ვეღარ აღწევენ და ერთვიან ან რომელიმე ტბას, ან ჭაობებში ჰქრებიან. ამის მიზეზი სხვათაშორის არის ის მოვლენაც, რომ თითქმის სათავიდან დაწყებული, ხელოვნური არხებით სპარსელებს გადაჰყავთ მდინარიდან წყალი ბაღებისა და ყანების სარწყავათ.

**მცენარეულობისა** და ცხოველების მხრივაც სპარსეთი მდიდარი და მრავალფეროვანია. სამხრეთის ნაპირებზე თქვენ შეხვდებით ფინიკის პალმეებსა და სხვა მრავალ ძვირფას ტროპიკულ მცენარეებს. მთის ფერდოები ბაღებით არის მოფენილი, რომლებშიაც ხარობს თითქმის ყველა ჩვენებური ხეხილები და აგრეთვე ლიმონი, ფორთოხალი, ზეთის ხილი, შაქრის ლერწამი და სხვ.

შვაგულ სპარსეთში მცენარეულობაც უფრო ღარიბია, რადგან მთების შვა გაწოლილი ხეობების ნიადაგი გაჟღენთილია მარილით და მავნებელია მცენარეთათვის. სამაგიეროთ, რამდენათაც უახლოვდებით კასპიის ზღვის ნაპირებს, ბუნება იმდენათ მრავალფეროვანდება.

**ცხოველები.** როგორც მცენარეულოთი, აგრეთვე ცხოველებითაც მდიდარია სპარსეთის ბუნება. ჩვენში კარგათ ცნობილ ნადირებს გარდა სპარსეთის მთებში შეხვდებით ლომებსაც და ვეფხვებსაც (მაზანდარანში).

**მცხოვრებლები.** თუმცა სპარსეთში საერთო აღწერა არ მოუხდენიათ, მაგრამ სპარსეთის მცოდნე პირთა გამოკვლევით მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით 9,მილიონ სულს არ აღემატება. ეროვნების მხრივ სპარსეთი ერთობ აჭრელებულია. უმეტესობას, რასაკვირველია, შეადგენენ სპარსნი, შემდეგ თურქები, ქურთები, ლიურები, არაბები, სომხები, ებრაელები, და აგრეთვე ქართველებიც.

თურქები რიცხვით მცირენი არიან, (ადერბეიჯანი) მაგრამ სახელმწიფო ცხოვრების მიდინარეობაზე დიდი გავლენა აქვთ, რადგანაც შახი სპარსეთისა მათი ტომისაა და აგრეთვე სამხედრო სამსახურშიაც უმთავრესად თურქები არიან, როგორც მეომარი და გულადი ხალხი.

**სარწმუნოება.** მიუხედავათ ეროვნებათა ასეთი სიმრავლისა, სპარსეთი მჭიდროთ შეკრული სახელმწიფოა და ამის მიზეზი, მათი სარწმუნოებაა. დაახლოვებით 90 პროცენტი სპარსელებისა ეროვნების განურჩევლად შიიტების სარწმუნოებას აღიარებს, 8 პრ. სუნიტებისას და 2 პრ. სხვა სარწმუნოებას.

**მეურნეობა.** სპარსელთა ცხოვრების უმთავრეს წყაროს შეადგენს მიწის მუშაობა. სთესენ პურსა, ქერსა, ბრინჯსა, ხაშიშსა და სხვ. პური სპარსეთში იმდენი მოჰყავთ, რომ ზედ მეტი მოსავალი საზღვარ-გარეთაც გააქვთ. უხვათ სთესენ აგრეთგე ბამბასა და თამბაქოს. მაზანდარანისა და ხუზისტანის პროვინციებში მოჰყავთ შაქრის ლერწამიც. მებაღეობა მთელს სპარსეთში ძლიერ გავრცელებულია. ძლიერ ბლომათ მოჰყავთ აგრეთვე ბოსტნეულობაც.

ვენახის მოშენებას მისდევენ უფრო სამხრეთის პროვინციებში, მაგრამ რადგანაც მაჰმადის სჯული ღვინის სმას უკრძალავს, ყურძენს ან ხილათ სჭამენ ან ქიშმიშათ აკეთებენ და ან სიროპებს აყენებენ. მეღვინეობას კი მისდევენ სომხები და ებრაელები (შირაზი, კაზვინი, ისფაგანი და ხამადანი).

**საქონლის მოშენება** უფრო გავრცელებულია შავგულ სპარსეთში, სადაც მთები დაფარულია მშვენიერი საბალახოებით (იალაღებით). აშენებენ უმთავრესათ ცხვრებს.

**აბრეშუმის** მოყვანაც ძლიერ გავრცელებული იყო სპაოსეთში ამ ბოლო ხანებამდე, მაგრამ ჭიის ავადმყოფობამ ძლიერ დასცა ეს დარგი. ეხლა, რაკი ხმარებაში შევიდა გასინჯული თესლი, ისევ მოჰკიდეს ხელი აბრეშუმის მოშენებას.

**სამთო მრეწველობა.** სპარსეთში ძლიერ დაცემულია. საკუთაოი ქარხანა-ფაბრიკები არც კი მოეპოებათ. არ არის აგრეთვე არც საქსოვი ქარხნები და უმთავრესი ნაწილი ფართლეულობისა უცხო ქვეყნებიდან შემოტანილია.

**გზები.** გზების მხრივ სპარსეთი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. რკინის გზები თითქმის სულ არ არის, მაგრამ არც თუ უბრალო საეტლო გზებია კარგს პირობებში. მდინარეებზე ხიდების უქონლობაც ძლიერ უშლის ხელს წარმოებასა და ვაჭრობას. უმთავრესი საშუალება საქონლის გადასატანათ ეს აქლემებია, რომლებსაც მრავლად შეხვდებით სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში.

**სივიწროვე ადგილ-მამულისა.** სპარსეთი არ არის მჭიდროდ სასახლებული ქვეყანა. სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში (ქირმანი) ოთხკუთხ ვერსზე დაახლოვებით 2 კაცი მოდის. ფარსისტანში, ხუზისტანში, ხორასანში და ირაქ-აჯემში ამავე მანძილზე მოდის 6 კაცი. სამაგიეროთ ჩრდილოეთ-პროვინციებში (მაზანდარანში, გილიანში) და დასავლეთით (ადერბეიჯანში, არდილანში და ლურისტანში) თითო ოთხ-კუთხ ვერსზე მცხოვრებთა რიცხვა 14—20 კაცამდე ადის.

**ქალაქები.** უმთავრესი ქალაქები სპარსეთისა ჩრდილო და დასავლეთ პროვინციებშია. სპარსეთის სატახტო ქალაქი თეირანია, სადაც 200,000 მცხოვრები ითვლება. ადერბეიჯანის უმთავრესი ქალაქი თავრიზი (200,000 სულიმცხოვრებით) გაშენებულია ურმიის ტბის მახლობლად. ამავე რაიონშია ქალაქები: ურმია, მარაგა, ხოი და სხვ. ისპაგანი, სპარსეთის ყოფილი სატახტო ქალაქი უფრო შავგულისაკენ სძევს. იქითკენვე არის შირაზი, იეზდი, ქირმანი და სხვა.

**სახელმწიფო წყობილება.** მეოცე საუკუნის დაწყებამდე სპარსეთი წმინდა მონარქიულ დესპოტიას წარმოადგენდა, და ვინაიდან ამ წერილში გვინდა მხოლოდ იმ წყობილების გაცნობა, რომელიც რევოლიუციის დაწყებამდე არსებობდა, ამიტომ ბოლო ხანების ამბებს აღარ ვეხებით. შახის უფლება არაფრით არ იყო შეზღუდული, გარდა რამოდენიმე სასულიერო, ქურანზე დამყარებულ, კანონისა. ქვეყნის უმაღლესი გამგეობა მინდობილი ჰქონდა დიდ ვეზირს (სადრაზმი) და 5—6 მინისტრს.

სახელმწიფო დაყოფილია 20—25 პროვინციათ, რომლებსაც განაგებენ გენერალ-გუბერნატორები, რა თანამდებობაზედაც უმთავრესათ პრინცები ინიშნებიან. მოხელეთა თავ-გასულობა და მექრთამეობა არსად ისე განვითარებული არ არის, როგორც სპარსეთში და ეს უკუღმართი ჩვეულება თავზე ატყდება დაბალ, გადამხდელ, ხალხს. თითოეული მოხელე თითქმის ვალდებულია განსაზღვრული საჩუქარი მიართვას თავისს უფროსს რომ ადგილი შეინარჩუნოს და ყურადღება დაიმსახუროს. მაგრამ ის ამ ძღვენს, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, კანონიერ გადასახადთან ერთად ახდევინებს ვისიც ჯერ არს. ამიტომ ზედმეტი გადასახადი უდრის ნამდვილის ორ მესამედს. რამოდენიმე საუკუნეა ამ უსამართლობას ითმენს სპარსელი ხალხი.

სახელმწიფო ბიუჯეტი სპარსეთისა უდრის 14 მილიონ მანეთს და იხარჯება უმთავრესათ: ჯარზე, შახის ოჯახობაზე, სასულიერო პირებზე, პრინცებზე და მცირეოდენი სკოლებზედაც.

**სამხედრო ძალა.** ძველათ მრისხანე და ძლიერი სპარსეთი, რომლისგანაც საქართველოსაც ხშირათ ახსოვს აოხრება-აწიოკება, დღეს აღარავისათვის საშიშ ძალას აღარ წარმოადგენს. მის ძლიერებას შეადგენს: 1) მუდმივი ჯარი; 2) მუდმივი მილიცია და 3) დროებითი მილიცია.

**მუდმივი ანუ რეგულიარული ჯარი** (ნიზამი) შესდგება ქვეითი რაზმებისაგან, რომელშიაც უნდა ირიცხებოდეს 63,700 კ, მაგრამ ირიცხება 13,000—20,000. ამის მიზეზია ჯარის უფროსთა ოქროს მოყვარეობა. ისინი ქაღალდზე მეტს ანგარიშობენ და ამით კარგა ბლომათ ფულს რჩებიან.

არტილერია, შესდგება სულ 6,000 კაცისა და დაახლოებით 360 ზარბაზნისაგან. თეირანში სდგას მხოლოდ 4 ზარბაზანი.

ცხენოსანი რაზმი შესდგება სამი პოლკისაგან, რომელთა საერთო რიცხვი უდრის 1,000 კაცს. ამათგან ერთი პოლკი აღზრდილია ნემეცურათ, ხოლო ორი გაწვრთნილია რუსის კაზაკების მაგვარათ.

**მუდმივი მილიცია.** მუდმივი მილიცია შესდგება 7,000 ქვეითა და 12,000 ცხენოსანი მეომარისაგან. ქვეითი ჯარი სდგას ხორასანში, გილიანში და მაზანდარანში.

**დროებით მილიციას** შეადგენს მხოლოდ ცხენოსანთა რაზმი, რომელიც სდგება ომის დროს და უდრის დაახლოებით 75,000—150,000 კაცს.

**ძველი ისტორია სპარსეთისა.** პირველი სახელმწიფო ირანისა დაარსდა დაახლოვებით მე-VII საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. ეს იყო მიდიელთა სახელმწიფო, მაგრამ მე-VI საუკუნეში ქრისტ. დაბადებამდე მიდიელები დასძლიეს ფარსებმა (ფარსისტანი) და დააარსეს სპარსეთის სახელმწიფო.

პირველი მეფე სპარსთა იყო კირი (558—529 წ.) კირმა დაიპყრო ირანის მთელი აღმოსავლეთი და აზიის დასავლეთი ნაწილი. მისმა მემკვიდრე კამბიზმა (526—522) მამის სამფლობელოს მიუმატა ეგვიპტე და ეფიოპია, მაგრამ კამბიზის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო დაინგრა და მხოლოდ დარიიმ (521—486) დააცხრო აჯანყება და წინაპართა სამფლობელოს შემატა შვაგულ აზიისა და ინდოეთის ზოგიერთი პროვინციები, ხოლო დასავლეთით გადავიდა ევროპაში და დაიმორჩილა ბალკანეთი. დარიის მეფობაში ძლიერ მოწესრიგდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და მეურნეობა. მან შემოიღო ოქროს ფულის ხმარება. დარიიმ დაჰყო სპარსეთი პროვინციებათ (20—30), რომლებსაც განაგებდენ სატრაპები. სატრაპთა მოვალეობას შეადგენდა უმთავრესათ ხარკების მოკრეფა თითოეულ სატრაპს ახლდა მეფის მდივანი, რომელიც გადასცემდა მას მეფის ბრძანებას. წელიწადში თითოჯერ პროვინციებს ჩამოივლიდენ განსაკუთრებული ინსპექტორები, („მეფის ყურები და თვალები") რომელნიც რევიზიას უშვრებოდენ სატრაპთა მოქმედებას.

დარიის შემდეგ სპარსთა სახელმწიფო რამდენიმეჯერ შეირყა და დასასრულ დარიი მე III დროს (336—330 წ.) სრულიად დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მისი სამეფოც ჩქარა დაიშალა და სპარსეთი მესოპოტამიასთან ერთად დაიპყრო პარფიის მეფე მიტრიდატ I-მა.

მიტრდატის შემდეგ, როგორც სამეფომ ისე, სამეფო გვარეულობამ დიდი ცვლილება განიცადა: არზაკიდების ხელიდან ტახტის მემკვიდრეობა გადავიდა სასანიდების ხელში. მხოლოდ ხოზროი I ანუშირვანის დროს (531—579 წ. ქ. შემ.) სასანიდების სამეფო დადგა განვითარების გზაზე. გარდა იმისა, რომ ხოზროიმ ძლიერ გააფართოვა სახელმწიფოს საზღვრები და მოიპოვა დიდი გავლენა, სახელმწიფოს შინაური წყობილებაც ძლიერ გააუმჯობესა. უკანასკნელი საბერძნეთის ფილოსოფოსნი, ბიზანტიიდან დევნილნი, აქ, სპარსეთში აფარებდენ თავს. თითონ ხოზროი თავის ძლიერებას ამყარებდა კონსერვატიულ ელემენტებზე (აზნაურობა და სასულიერო წოდება). შვილი ხოზროისა ხორბიზდ მე IV მეტი თანაგრძნობით მოეკიდა დაბალ წოდებას და მოინდომა განებივრებულ თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდების ალაგმვა, მაგრამ დამარცხდა და სატუსაღოში გარდაიცვალა.

ხოზროი მე II-ს მეფობა ძლიერ ხიფათიანი გამოდგა სპარსეთისათვის. ბიზანტიასთან ომის შემდეგ სპარსეთში იფეთქა აჯანყებამ და ხოზროი სიკვდილით დასჯილ იქნა.

ამ დრომდე სპარსები აღიარებდენ ზოროასტრის სარწმუნოებას, მაგრამ ამ ხანებში არაბეთიდან დაიძრა ისლამი (მაჰმადის სარწმუნოება) და სასანიდების სამეფოში შემოიჭრენ არაბები (637 წელს) არაბთა შემოსევის ნაყოფი იყო უმთავრესად მაჰმადის სარწმუნოების მიღება. ამ ხნიდან კვალად აღორძინდა სპარსეთის მწერლობა და ნაციონალური ცხოვრება.

**თურქების შემოსევა.** (თურქები და სელჯუკები). 1030 წელში თოღრულ-ბეგისა და ჩაქირ-ბეგის წინამძღოლობით ირანს შემოესიენ თურქ. სელჯუკები. გაზნევიდების ჯარი სასტიკათ დაამარცხეს სელჯუკებმა. 1054 წელში სელჯუკებმა დაიპყრეს ადერბეიჯანი 1072 წელს სრულიად ირანის სამეფო ტახტი დაიმკვიდრა მელიქ შახმა. დაუძლურებული სახელმწიფო ცოტა მოღონიერდა. მან დაიპყრო სირია, სომხეთი, 1071 წ. ტყვეთ წამოიყვანა ბიზანტიის იმპერატორი იბრძოდა საქართველოში, მცირე აზიაში, ბუხარაში, ასე რომ, მელიქ შახის სამფლობელო გაჭიმული იყო ჩინეთის საზღვრებიდან სტამბოლამდე.

მელიქ შახის შემდეგ სულჯუკების სამეფო თანდათან დაუძლურდა და დაინგრა.

**მონგოლთა შემოსევა.** 1218 წელს სპარსეთის აღმოსავლეთ საზღვრებს მოადგა ჩინგის-ხანის ლაშქარი. შახი მაჰომედი დაიბნა და უკუ იქცა. მონგოლებმა დაანგრიეს და გაანადგურეს სპარსეთის ის ნაწილები, სადაც მათმა ლაშქარმა გაიარა. გადათელეს მიდია, ადერბეიჯანი, კავკასია, და გადავიდენ რუსეთში. მონგოლების შემდეგ დაიწყო სპარსეთში შინაური ბრძოლა და განხეთქილება, ვიდრე ლანგ თემურის შემოსევამ არ მოუღო ბოლო განხეთქილებას.

**ახალი სპარსეთი.** 1499 წლიდან სპარსეთში გამეფდნენ სეფევიდები, სახელმწიფო ენათ გამოცხადდა სპარსული, ხოლო სარწმუნოებათ შიიზმი. შაჰინ-შახმა ისმაილმა 1500 წლიდან შეაერთა

სპარსეთის ყველა პროვინციები, დაიპყრო ხორასანი და 40000 შიიტის წამებისათვის სასტიკი ომი გამოუცხადა ოსმალოს. ოსმალოს სულთანმა დაამარცხა ისმაილის ყიზილბაშები, მაგრამ მხოლოდ მესოპოტამიის და სომხეთის მითვისებით დაკმაყოფილდა. სელიმის სიკვდილის შემდეგ ისმაილ შახმა დაიპყრო საქართველოც.

1582 წელს ხოროსანის ყიზილბაშებმა შაჰათ გამოაცხადეს თავიანთი ნამესტნიკი აბბასი. 1586 წელს შახი აბბასსი სრულიად სპარსეთის გამგე შეიქნა. აბბასმა დააარსა მუდმივი ჯარი შეკრებილი სხვა და სხვა პროვინციებიდან, დაიპყრო უზბეკები. 1607 წელს დაიმორჩილა ადერბეიჯანი, შირვანი და საქართველო. შაჰი აბბასსი ძლიერ სასტიკი და იჭვიანი კაცი იყო. მოაკვლევინა თავისი უფროსი შვილი და დააბრმავა ორი დანარჩენი.

1732 წელს თურქ-კაჯართა რაზმის წინამძღოლმა ნადირმა გადააყენა შახი ტახმასპი და სამეფო ტახტზე აიყვანა შვილი იმისი აბბას მე-III, რომლის სიკვდილის შემდეგ (1736 წ.) თითონ ავიდა ტახტზე ნადირ შაჰის სახელით. ნადირ შახის დროს სპარსეთი მოღონიერდა, მაგრამ უკიდურესმა დესპოტიზმმა ბევრი მტერი გაუჩინა შახს და ის მოკლეს მისმა აფშასებმა.

ამის შემდეგ კვლავ დანაწილდა სპარსეთის სახელმწიფო. ამით ისარგებლა კაჯართა თავადმა ალა მახმადმა. გადავიდა მაზანდარანში და რამდენიმე წლის განმავლობაში დაიპყრო მთელი სპარსეთი. 1794 წელს ალა-მახმადმა ალყა შემოარტყა ქირმანს, სადაც სპარსეთის შახმა თავი შეაფარა, და აიღო ქალაქი. ალამ ბრძანება გასცა ქირმანის ქალები ჯარისკაცებისათვის გადაეცათ, ხოლო კაცებისთვის თვალები დაეთხარათ. მას წარმოუდგინეს 7,000 თვალი, რომლებსაც თითონ ალა-მახმადი წონავდა და თვლიდა.

დაუმორჩილებელი დარჩა ალას მხოლოდ საქართველო, საითკენაც გამოილაშქრა 1795 წ. ეს საზარელი ფურცელი საქართველოს ისტორიისა ალბათ ეცოდინება ჩვენს მკითხველებს. 1797 წელს ალა-მახმად-ხანი მეორეთ გამოემართა საქართველოსაკენ, მაგრამ მისმა მსახურებმა გზაში მოჰკლეს.



შახი მუზაფერ-ედინი,

მეცხრამეტე საუკუნისისტორია, ეს სპარსეთის დაქვეითებისა და დაუძლურების ხანაა. ამ ხნის განმავლობაში მან წააგო რამოდენიმე ომი და დაჰკარგა რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროვინცია.

1896 წელს, შახი ნასრ-ედინის მოკვლის შემდეგ, სამეფო ტახტზე ავიდა შახი მუზაფერ-ედინი.

ამით ვათავებთ პირველ წერილს და შემდეგ ნომერში ვეცდებით გავაცნოთ მკითხველებს ახალი ხანა სპარსეთის ცხოვრებისა, რომელიც დაიწყო მუზაფერ-ედინის მეფობის ბოლო ხანებში და გრძელდება დღესაც ჩვენ თვალ-წინ.

№.



## ორი წამალი.

შენ გენაცვალე ეშმაკო
შენი მათრახის ჭირიმე
ბევრი მინახავს მაგისგან
ანაკვნეს, ანატირი-მე.

ვადიდებ სპერმაკუდინსაც
მეტათ რომ უებარია,
ყველა გაჰკურნა გონებით
ვისაც კი ხელი დარია.

ამ შენის ორი წამალით
ავლაბრელებსაც ეწვიე,
გზირსა, ნაცვალს და სუდიას
მათრახით წამოეწიე.

მამასახლისსა კუდინი
აყლაპე სამი უნცია,
რადგან ამ ბატონს ახალი
კანონი გამოუცხვია.

თუ სადმე შეხვდა ამ გმირსა
ვადა გასული ლისტია
არას გიშველის გადახდა,
თუ ერთი შემოგიტია.

იქიდან ნაძალადევში
გადმოხტი შენის ფრთებითა
გაჰკარი ვირ-თხას მათრახი
კამეჩს რომ ებრძვის რქებითა.

კუდინის მწვავე წვეთები
შეასვი სულით სნეულსა
იგი განკურნავს უეჭვოთ
გონება გადარეულსა.
შემდეგ ავჭალის ქუჩაზედ
ნელ-ნელა ჩამოიარე
არტისტ მეჩექმეს, წამალი
ორივე გაუზიარე.
პირველ იკითხე ლევანი
და ასვი კარგა რიგითა,
მერე მის გაწრთვნილ ალექსის
დაუსხი ჩაის ჭიქითა.
შენ გენაცვალე ეშმაკო
შენი წამლების ქირიმე,
შენი შემცოდე მრავალი
მინახავს ანატირი მე

თითონ იცის.

## დაგვიანებული პასუხი

ბ. სოფლის მასწავლებელს.

ბ. „მასთალებელო“! ჩემს ლექსში, („ეშმაკის მათრ.“ № 29) ვამბობდი, რომ 1) თქვენი წერილი („ნიშად.“ 41 №) „რეაქციის დანაბერია და 2) ამით თქვენ ცდილობდით მსგავსად ბ. ხეობელისა თქვენს თანამოაზრეთა შორის „ჭეშმარიტი ფედერალისტის“ სახელი დაგემსახურებიათ; ხოლო ეს უკანასკნელი რას გულისხმობს, ამის გაგება შეგიძლიათ თუნდ იმავე ხეობელის ბიოგრაფიიდან. (ბანკში თავის ამოყოფა) დიახ, ეს ბრალდებები წამოგიყენეთ მე თქვენ და კიდეც დაგიმტკიცებთ. თქვენ სწერთ (ნიშ. № 46): „თუ, როგორც ბრძანებთ, მიცანით ვინცა ვარ, მაშინ „დიდი ხნის დუმილიც არ უნდა დაგეწამებიათო“. საქმეც ამაშია ბ. „მასთალებელო“, მე თქვენ გიცნობდით და საუბედუროთ დღესაც გიცნობთ. მარა მაშინ, იმ ნეტარ დროში, რომლის დასამცირებლათ თქვენ სიტყვები არ გყოფნისთ, სულ სხვა იყავით, სხვა ჰანგზე მღეროდით; მართალია მოძრაობის ბელადების მსოფლმხედველობას არ აღიარებდით, მარა პატიოსან იდეიურ მოწინაალმდეგეთ მაინც ჩანდით. (ეს ისეთი კომპლიმენტი არ გეგონოსთ, როგორიც თქვენ სილოვანს შეკადრეთ), ასეთი უწმაწური რამ არასოდეს არ მსმენია თქვენგან და მართალი გითხრათ არც მოველოდი, მარა „ნიშად“ № 41 დამარწმუნა, რომ თქვენც ბ. „მასთალებელო“ „ჭეშმარიტი ფედერალისტი“ ყოფილხართ. ან შეიძლება თქვენზე იმ წრემ იმოქმედა, რომელშიც ამ ბოლო ხანებში მოხვდით? შეიძლება. ხეობელსაც აკი ასეთი საჯაყი საქმე დაემართა! მისივე კალმის დანაწერით დაუმტკიცეს, რომ ერთობის დროს რაზმელებით ალტაცებაში მოდიოდა, ასე მოგივიდათ თქვენც. თქვენი ამბავი რომ ვიცი ბ. „მავთალებელო“, ერთი შემოკურთხების შემდეგ, მეტყვით სხვის გულში აფათურებთ ხელსო. მე კი გკითხავთ: თუ თქვენ „თევზივით არ სდუმდით“ და ქამანდები დამალული არ გქონდათ, რათ დღემდის არ ამოიღეთ ხმა? სად იყავით მაშინ, როცა თქვენგან გამოქვეყნებულ „ფაქტებს“ თქვენის განმარტებით ადგილი ჰქონდა? დღეს განა, როცა ხიშტები დაინახეთ თქვენს უკან, მაშინ აკაკანდით?“

„დამისახელეთ ჩემი ცხოვრებიდან ისეთი ფაქტი, რომელიც ამ საზიზღარ ბრალდების (ქვეშ გაგებას) ამართლებდესო“ მაძლევთ წინადადებას (ნიშ. 46.) გისახელებთ: ამას ამტკიცებს თქვენი სამი წერილი, რომელიც მოათავსეთ „ნიშადურის“ 41, 45, და 46 ნუმრებში. ამ წერილებით თქვენ ბ. „მასთალებელო“, ფეხქვეშ გაეგეთ თქვენს მემარჯვენე თანამოაზრეებს, სილოვანსა და მისს კამპ. და მასთან ერთათ, მათთან თანხმობით აშკარაა ხელს აწყრთ მის „მკვლელებს და მცველებს“? განა თქვენი დაცვა და რეკლამის გაკეთება ჰირდება სილოვანს „მკვლელების“ ავტორს? მარა თქვენ მშვენივრათ გრძნობთ „სად ზამთრობენ კიბოები“! „კიბოებით“ ავსილია თბილი დაწესებულებები, რომელნიც სარგებლობენ რა რეაქციით, გარდა „თავისიანებისა“ ყველას კარში ერეკებიან. მოიგონეთ ქუთათური „ზუბრთა სკოლის“ ამბავი და ბევრი კიდევ სხვა. გკითხავთ, რათ გადასცურეთ „ნიშადურში“—მლიქვნელობით, თუ სიმართლის სიყვარულით? ცხადია პირველით. ამხაირათ ჩემს ლექსში გატარებული ორი ბრალდება დაგიმტკიცეთ. ეხლა კიდევ წამოგიყენებთ ორს ახალს და ამათაც დაგისაბუთებთ.

ამხ. პლებეის საპასუხო წერილში (ნიშ. 45), თქვენ სხვათა შორის სწერთ: „ვანა მთელმა ხონმა არ იცის, რომ მ-ოს სამმა ოთხმა ორგ. წევ. გადაუწყვიდა სიკვდილი, მხოლოთ იმიტომ, რომ ამ შავ-ბნელ რეაქციის დროს, განადგურების თავიდან ასაცილებლათ, ხალხს ურჩია მთავრობისათვის დროებით მორჩილება გამოეცხადებინაო“. ბ. „მასთალებელო“, თქვენი „სიმართლის მოყვარეობა“ აქ მივიდა თავის ლოღიკურ დასკვნამდე. თქვენ ამ სიტყვებით ჯაშუშობასაც ეწევით და კიდეც სტყუით.

დღეს-დღეობით შეუძლებლათ მიგვაჩნია ამ საქმეზე აშკარა კამათი, მაგრამ ამას კი გკითხავთ: რით უპასუხეთ თქვენ ინ-ჩ-ძეს და განს, რომელნიც თქვენი „ფაქტების“ დასარღვევათ სამედიატორო სამართალში გიწვევდენ? თქვენ ცხადია კარგათ გცოდნიათ, რომ რაზედაც მედიატორენი თავისუფალ პასუხს მოგცემდენ, ის პრესის საშვალებით მოუხერხებელია და აკი ასე ურცხვათ სარგებლობთ თქვენთვის ხელსაყრელი დღევანდელი მომენტით.

დასასრულ მინდა ორიოდე სიტყვა კიდევ გითხრათ: თქვენ ფრჩხილებში ჩასმულ პოეტ-ბელეტრისტს მიწოდებთ, დამცინით. ნება თქვენია, ხოლო მე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემის ნაწერებით, ღრმად დარწმუნებული ვარ, გარყვნილება მაინც არ შემიტანია მწერლობაში და საზოგადოებაში, ხოლო თქვენს ორიოდე სტრიქონს კი ბ. „მასთალებელო“, როგორც ხედავთ, საძაგელი სუნი ასდის.

ვ. მალაქიაშვილი.



## ფოთის ამბები.

**გამშრალი ნერწყვი.** საფუთო გადასახადების მოლოდინში ფოთის უპრავლებს ლამის ნერწყვი გაუშრეთ. ყოველგვარ იმედებს იმაზე ამყარებდენ და დახეთ უბედურებას, ეს „ციური მანანა“ არც ისე ადრე გადმოყვლინა ნერწყვ გამშრალ მოლვაწეებს, როგორც მოელოდენ. დღეს მდგომარეობა ასეთია: უპრაველთა მადა უკიდურესამდე განვითარებული, კასა ზედმიწევნით ცარიელია, საფუთო გადასახადი შორეულ „ჰორიზონტზე“, ხოლო ჭამა აუცილებელი.

გზა ერთი-და დარჩა გასაჭირიდან გამოსასვლელათ: „ნალოგები და პოლიცია! ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა „ნალოგებს“ უსაფუძვლოთ ახდევინებენ, მაგრამ უპრავას რა საქმე აქვს სახლი დაენგრა ვისმეს თუ განზრახ დაუნგრიეს?

**ახალი საფუთო გადასახადი.** თუ ყინიცობაა, ნიკოლაძის „საფუთო“ გადასახადი ვერ გავიდა ან ძლიერ დაიგვიანა, მაშინ ქალაქის სანიტარებს განუზრახავთ დააწესონ საფუთო გადასახადი ქალაქის ქუჩებში უხვად გაბნეულ მძორებზე. თუ ფოთს ამისი ნება დართეს, მაშინ მის ბედს „ძაღლი აღარ დაჰყეფს“, ახლა კი აუარებელი ძაღლების ხროვები ირევიან ქუჩებში მძორების საძიძგნათ. თუ სანიტარების ღირსება მძორების გამრავლებაში გამოიხატება, მაშინ ფოთის სანიტარებს დუნიაზე ბადალი არ ეყოლებათ.

**შენობათა კონცენტრაცია.** ცნობილი „ღასნი“ ანდრი ყვანია და ცნობილი „ბურჯუა“ მიხა ალხაზოვი უკვე კარგა ხანია შეუდგენ „ჩალის ფასათ“ ფოთის შეძენას. თუ კვლავაც ასე ენერგიულათ იმოღვაწეს, მალე მთელი ფოთი მათი იქნება და ნიკოლაძე მათი თავი ანუ, რაც ერთი და იგივეა, ისინი იქნებიან ნიკოლაძის ფეხები. კონცენტრაცია შენობათა მხოლოდ საქმით სწამთ ამ ვაჟბატონებს, სიტყვით კი წინაამდეგნი არიან, ვინაიდან „სიტყვაზე“ ფედერალისტობაა სასარგებლო ხელობა და საქმით კონცენტრაციის მოხდენა.

„გველსა ხვრელით გამოიყვანს“... სიმონ კიღურაძეს ისეთი მოქარგული ენა აქვს და ისეთი მომჯადოებელი კილო, რომ წყალიდან მუდამ მშრალათ ამოვა, და არასოდეს არც წვადს დასწვავს, არც შამფურს. ახლაც ისე მოუქონა თავი „მის მუშებს“ რომ თითქმის ყველას მოაწერია ხელი. მუშებიც, მართალია, ისეთი ყურ-თავლიანი შეხვდა ბატონ სიმონს, რომ:

სიტყვა მისი ჩანაძახი,
ჩაიკვერა, ჩაიშაქრა
და მხილება (იქ რო იცის)
არც კი ვიცით საით გაქრა.

**„მაქვისტობა“.** ეს ახალი ხერხია დღევანდელ ფოთის ცხოვრობაში. ზინგერის მუშებმა მართალია, დაპირებათ ჩაატარეს გაფიცულ ამხანაგთა დახმარება, მაგრამ არც მათ აყენებს კარგ დღეს აქაური შმულევიჩი.

თუ ვინიცობაა, მუშა არ არის, სასურველია მაშინვე ჩაუდობენ ჯიბეში მაქვას და ამგვარათ, „ქურდობაში დაჭერილს“ ითხოვენ.

ასეთი ამბავი უკვე გამოხოხორიკდა.

ვოლდემარი.



## დეპეშები

**ფოთი.** უზომოთ აცხდა. ხალხი მოლს გაუწვა. უკრავს ახლად შედგენილი ფილარმონიული ბაყაყთა საზოგადოების ორკესტრი. „სკუჩნაობით“ თავ-მოძულებული „დამები“ თითქო დაბმული იყვნენ კლუბში გათენებამდე ბანქობენ.

**ჭიათურა.** გედევანის ამბავი მთელი დაბის ყურადღებას იპყრობს. 4 ივლისს სტრაჟნიკებმა მოასწრეს და დაიჭირეს, მაგრამ ისევ გაანთავისუფლეს. გედევანზე ასეთ ლექსიც კი მოიგონეს და მღერიან:

„გედევანს „ცოლი“ გაექცა
ვნახეთ ჩვენი თვალითაო,
გედევანი უკან მისდევს
დაყანგული ხმალითაო.
თუ გედევან გაიკურნის,
ეს „ეშმაკის ძალითაო

ქო პატონი.

**სად. სამტრედია.** ამას წინათ წესიერების დამცველებმა მოინდომეს „დაიმასქნებული“ ვაგონის გადაიმასქნა. „ბაგაყის“ რაიონიდან მისცვივდენ „ვესოვჩიკ“ დუნდუას. მეხილეთაგან ანაღებმა ქანქარმა საქმე გამოაკეთა.

„სატანა“.



## რედაქციისაგან.

კორესპონდენციები და წვრილ-წვრილი ლექსები, რომელთა დაბეჭდვას რედაქცია ან შესაძლებლად, ან საჭიროდ არა სცნობს, ფოსტაში გამოცხადების შემდეგ აღარ ინახება.

—

## წერილი რედაქციის მიმართ.

„ეშმ. მათრ." № 27 *) აბხველი კორესპონდენტი კაკაბი სასტიკად შეურაცხმყოფს, რისთვისაც ვიწვევ მას სამედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრით ვასახელებ მასწ. გ. ფაჩულიას; დათიკო ჩხეიძეს და გიორგი კვაშალს. დეე ამათმა მიუდგომელმა თვით გამორკვევამ გაიგებინოს მთელს ქვეყანას.

დიომიდე ბასილაიშვილი.

*) ვაუწყებთ ბ ნ დიომიდე ბასილაიშვილს, რომ „ეშმ. მათრახის" 27 ნომერში არც მათი პატივცემული სახელი და არც კაკაბის კორესპოდენცია არ არის მოხსენებული და ბეჭდავს რა ამ წერილს, „ეშმაკმაც" არ იცის რა ბრალსა სდებენ კაკაბს. რედ.



## „ეშმაკის მათრახის" ფოსტა

**სვირი** ფულკარს. თანაგიგრძნობთ, მაგრამ სვირის სადგურზე „გუდების დარუტვის" შესახებ მოწერილი ამბავი არ დაიბეჭდება, რადგან სახელს არ აწერთ.

**გამოცანათა ავტორებს.** რედაქცია ვერ დაბეჭდავს ისეთ გამოცანებს, რომელსაც არ ახლავს მცირე განმარტება გამოსაცნობი პირისა და მისი ნამდვილი სახელწოდება.

**გურია** ი—ს. ძლიერ მადლობელი ვიქნებით, მაგრამ რაც შეიძლება მოწერეთ, ვინაიდ ნ

„გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის
შაირია ამით კარგი."
ჩვენში მოკლეს აგრძელებენ
და გვაშორეთ მეტი ბარგი.

**ოზურგეთი** საწამლავს. არ დაიბეჭდება.

**ლანჩხუთი** ქვიტკირს. თქვენი ლექსი „ლანჩხუთელი ბარიშნა" არ დაიბეჭდება. სახიფათოა.

**სამტრედია** კიკოლიკას. არც თქვენი ცნობა დაიბეჭდება რადგან საკმაო საბუთი აკლია.

**ქუთაისი.** ილიას. თქვენი გამოცანა არ იბეჭდება, რადგან რედაქციამ არ იცის ვინ არის ეს პირი,

**ხონი.** ხონის-გან. „მათხონჯური" ლექსი არ დაიბეჭდება.

**ქუთაისი.** კირ. გუბელს. თქვენი ლექსი „მერცხალს" არ დაიბეჭდება.

**ნოვოროსია.** პროლეტარს. არ დაიბეჭდება.

**სუფსა.** შუშანიკეს. შეიძლება ქ-ნი მაკა გურიელი ფუარეს-ზბასაც შერბოდეს, მაგრამ თქვენ წერილს ვერ დავბეჭდავთ; ვიდრე მეტი საბუთი (და თანაც ვინმე რედაქციის სანდო პირისაგან დამოწმებული) არ გვექნება.

**მიხაილოვი.** შავგვრემალს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება, რადგან არ არის მოხსენებული ინიციალების ნამდვილი ვინაობა.

**ხიდისთავი.** (პაჭესოული) დილამშვიდობის. თქვენი ლექსი: „მონარქისტების ლოცვა" არ დაიბეჭდება რადგან ერთობ თავისუფალ კილოზეა აშენებული. თქვენ ალბათ ხელს არავინ გიშლის წერაზე, მაგრამ სულ სხვაა ჩვენი საქმე. მოგვაწოდეთ უფრო შესაფერი და ადგილობრივი.

**გურიელს.** ვერ გავარჩიეთ და გადავეცით ექსპერტ ეშმაკთა კომისიას წასაკითხავათ.

**მუხიანი.** პიპინაშვილს. სადგურის უფროსი თანაშემწე მუმლაძის შესახებ წერილი ჯერ-ჯერობით არ დაიბეჭდება.

**სოფ. ბაღლეზი.** შაშიკოს საჭიროა რედაქციამაც იცოდეს ვინ არის ის „ერდიშელი", რომელსაც ასე ლანძღავთ, წერილი არ დაიბეჭდება.

№. სანდრო. თქვენი ლექსი „ურმული" არ დაიბეჭდება.

**ს. აცანა.** ისკანდერს. თქვენი ლექსი „მ. გერონტის" არ დაიბეჭდება.

**ს. აცანა.** გერონტის. თქვენი შეკითხვა ისკანდერის შესახებ არ დაიბეჭდება.


უყველკვირეული იუმორისტული
კარიკატურებიანი ჟურნალი
# „ეშმაკის მათრახი"

მთელი წლით ღირს . . . . . 5 მან.
ნახევარი წლით . . . . . . . 3 „
ერთი თვით . . . . . . . . . 50 კ.

ვინც მთელი წლით გამოიწერს გასული წლის ეშმაკის მათრახის ყველა ნომრები უფასოთ გაეგზავნება.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: სტრიქონი პეტიტისა უკანასკნელ გვერდზე 20 კ.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 11-დან 12 საათამდი შრომის ამხანაგობის სტამბაში. რუსკი ქუჩაზე № 3.



# მოითხოვეთ ყველგან

## მ. ლაღიძის და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

**გემო და არომატი მშვენიერი აქვს.**

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—7)




კეთილშობილური შანტაჟი.

## ქველ-მოქმედება!

როგორც გორიდან
და სურამიდან,
აგრეთვე ბაქო-ბალაჯარიდან,
გინდ ბათუმიდან,
ქიათურიდან
ოზურგეთიდან თუ ხაშურიდან,
არა მგონია
ფაქტებს ბერავდენ,
როდესაც ასეთ ბარათს მწერავდენ:
„ძმაო ეშმაკო!
ქალიშვილებმა
ლამის აგვიკლონ დალოცვილებმა.

ცხვირს რო გამოყოფ
ქუჩისა პირათ,
წამს გაჩნდებიან იქ თქვენდა ჭირათ
მოგაყუდებენ
გულზე აფიშას
თუ ქანქარი გაქვს, მაშინ რა გიშავს,
მაგრამ თუ არ გაქვს
ვაი შენ თვალებს,
ხვეწნა-მუდარით გულს გაგიწყალებს!
მხოლოთ ერთი გზით
ჩამოიშორებ:
თუ ჯიბით ქანქარს ამოიგორებ.

მაგრამ ეს ერთი
ვთქვათ გაგეცალა,
წამსვე გაჩნდება სულ-სხვა ამალა,
მეტის-მეტია
თქვენმა სიცოცხლემ,
სწორეთ დაგვახრჩვეს, წაიღეს ძალა!!!
აქ მოდის სია
სალატარიო
გკითხავენ: „ფული მზათ თუ არიო?“
და დაიწყება
იგივ ამბავი
თავით-ფეხამდე გაგვაძრეს ტყავი.
შენა ხარ ძმაო
ჩვენი ნუგეში
და ნუ დაგვტოვებ ამ ტანჯვის დღეში“.
მეკი არვიცი
რა ვუყო ქალებს
საქველმოქმედო ეშხით დამთვრალებს.

ჰმ!

რედაქტორ-გამომცემელი თ. ე. ბოლქვაძე

„**ეშმაკის მათრახის**“ რედაქციაში იყიდება გასული წლის „ეშმ. მათრახის“ კომპლექტი (13 ნომერი) ერთად შეკერილი. ფასი—1 მ. 30 კ.
მსურველს პროვინციაშიც გაეგზავნება.



ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა